

შპს „ბრიკო კავკასუს“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და აუდიტორთა პასუხისმგებლობები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბრიკო კავკასუს“ (შემდეგში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთაღნიშნული წლის ბოლოსთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის დაცვით (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მსს საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში. მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:
- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2019 წლის 25 ივლისს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ.

შპს „ბრიკო კავკასუს“-ის დირექტორი
მამუკა დოლიძე

შპს „ბრიკო კავკასუს“-ის ფინანსური დირექტორი
კახაბერ სონიშვილი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და აუდიტორთა პასუხისმგებლობები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბრიკო კავკასუს“ (შემდეგში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთაღნიშნული წლის ბოლოსთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის დაცვით (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მსს საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში. მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:
- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოთხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2019 წლის 25 ივლისს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ.

შპს „ბრიკო კავკასუს“-ის დირექტორი
მამუკა დოლიძე

შპს „ბრიკო კავკასუს“-ის ფინანსური დირექტორი
კახაბერ სონიშვილი



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	5
ხელმძღვანელობის და ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით მართვის უფლებამოსილების მქონე პირების პასუხისმგებლობები.....	6
აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.....	6
2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	10
2018 დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	10
ზოგადი ინფორმაცია.....	12
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	12
განცხადება შესაბამისობის შესახებ.....	12
ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.....	13
ფული და ფულის ეკვივალენტები.....	13
1. ამონაგები.....	18
2. სხვა შემოსავალი.....	19
3. ფინანსური დანახარჯები.....	19
4. დაბეგვრამდე მოგება.....	19
5. თავის მხრივ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:.....	20
6. მოგების გადასახდის ხარჯი.....	21
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	21
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	21
9. ძირითადი საშუალებები.....	21
10. არამატერიალური აქტივები.....	22
11. გადავადებული გადასახადი.....	23
12. სესხი და საბანკო გარანტია.....	23
13. სავაჭრო ვალდებულებები.....	23
14. საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები.....	24
15. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება.....	24
16. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები.....	24
18. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.....	25

19. პირობითი ვალდებულებები.....	25
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	25
21. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	25
22. ფინანსური რისკები.....	26
23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ჩავატარეთ შპს „ბრიკო კავკასუს“-ის (შემდგომში „კომპანიის“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს (ან უტყუარად და სამართლიანად ასახავს) შპს „ბრიკო კავკასუსის“ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს) (ISAs) მიხედვით. ჩვენი მოვალეობები ამ სტანდარტების მიხედვით შემდგომ აღწერილია ჩვენი მოხსენების იმ განყოფილებაში, რომელიც ეხება აუდიტორის მოვალეობებს ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან, „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს“ (პბეკ კოდექსი) (IESBA code) მიხედვით, ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, რომლებიც შეეხება ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მიღებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარის და სათანადო საფუძველს ქმნის ჩვენი დასკვნის ჩამოყალიბებისათვის.

ხელმძღვანელობის და ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით მართვის უფლებამოსილების მქონე პირების პასუხისმგებლობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარმოდგენაზე მსს ფასს (IFRS for SMEs) შესაბამისად და იმ შიდა კონტროლზე, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის, რომელიც არ შეიცავს არასწორ მასალას თაღლითობისა თუ შეცდომის გამო.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეათვასოს კომპანიის შესაძლებლობა, რომ მუშაობა განაგრძოს, როგორც მოქმედმა ფირმამ, სათანადოდ ასახოს მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები და გამოიყენოს აღრიცხვა მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, თუ ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ფუნქციონირების შეწყვეტა ან ამის გარდა სხვა რეალური ალტერნატივა არ გააჩნია.

მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობაა ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი ამოცანაა მივიღოთ გონივრული დასაბუთება, იმასთან დაკავშირებით, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება, მთლიანობაში, არსებით უზუსტობებს, თაღლითობისა თუ შეცდომის გამო და მოვამზადოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც შეიცავს ჩვენს დასკვნას. გონივრული დასაბუთება მტკიცებულების მაღალ დონეს წარმოადგენს, მაგრამ ეს არაა გარანტია, რომ ასს-ს (ISAs) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს მასალის უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ მათ, ცალ-ცალკე, ან მთლიანობაში, შესაბამისად, შეუძლია ზეგავლენის მოხდენა მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიღებულია ამ ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.

ასს-ს (ISA) შესაბამისად წარმოებულ აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის წარმოების დროს. ჩვენ აგრეთვე:

- განვსაზღვრავთ და ვათვასებთ ფინანსური ანგარიშგებების მასალის არსებითი უზუსტობის რისკებს, წარმოშობილია ის თაღლითობის თუ შეცდომის გამო, აუდიტის პროცედურებს ვწარმოებთ ამ რისკების შესაბამისად და ვიღებთ აუდიტის მტკიცებულებას, რომელიც საკმარისია ჩვენი მოსაზრების საფუძვლის ჩამოყალიბებისათვის და შეესაბამება მას.

თაღლითობის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომებისაგან წარმოშობილი უზუსტობის არ გამოვლენის რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება დაკავშირებული იყოს შეთქმულებასთან, გაყალბებასთან, განზრახ უმოქმედობასთან, არასწორად წარმოდგენასთან ან შიდა კონტროლის თავის არიდებასთან.

- ვერკვევით შიდა კონტროლის პროცედურებში, რომლებიც დაკავშირებულია აუდიტთან, რათა შეიქმნას გარემოებების შესაბამისი აუდიტის პროცედურები, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობის შესახებ აზრის გამოხატვის მიზნით.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, საბუღალტრო ხარჯთაღრიცხვის გონივრულობასა და ხელმძღვანელობის მიერ შესაბამისი ინფორმაციის ასახვას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების მიზანშეწონილობის შესახებ და მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, არსებობს თუ არა არსებითი ბუნდოვანება იმ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებით, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს იმის შესახებ, კომპანიას შეუძლია თუ არა ფუნქციონირების გაგრძელება მოქმედი საწარმოს სახით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი ბუნდოვანება, მაშინ აუცილებელია, რომ ყურადღება გავამახვილოთ ჩვენს აუდიტორის ანგარიშში, შესაბამის ინფორმაციაზე, ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არააღექვას, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტორის მოხსენების თარიღამდე. თუმცა, მომავალში განვითარებულმა მოვლენებმა ან პირობებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც მოქმედი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ვაფასებთ, თუ რამდენად შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთო წარმოდგენა, სტრუქტურა და შინაარსი, შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების კეთილდინდისიერად ასახვის მოთხოვნებს.
- ვიღებთ აუდიტის საკმარის და სათანადო მტკიცებულებებს, კომპანიაში არსებული საწარმოების და ბიზნეს საქმიანობის ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რათა გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ. პასუხისმგებელი ვართ აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

კომუნიკაციას ვამყარებთ მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, უკავშირდება აუდიტის დაგეგმილ მასშტაბსა და დროის შერჩევას და მნიშვნელოვან აუდიტორულ აღმოჩენებს, მათ შორის, შიდა კონტროლში არსებულ მნიშვნელოვან ხარვეზებს, რომლებიც გამოვავლინეთ აუდიტის წარმოების დროს.

2018 წ. 31 დეკემბერს დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 25 ივლისს.

აუდიტორის ხელმოწერა:

შპს „არბიტრანსის“ სახელით

მმართველი პარტნიორი გოჩა ჭოლოკაძე (SARAS-A-374286)

თარიღი: 15.09.2019

2018 წ. 31 დეკემბერს დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 25 ივლისს.

აუდიტორის ხელმოწერა:

შპს „არბიტრანსის“ სახელით

მმართველი პარტნიორი გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286)

თარიღი: 15.09.2019



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის

დასახელება (GE)		2018 წელი ლარი	2017 წელი ლარი	2016 წელი ლარი
სულა აქტივები		9,510,796.03	8,315,863.66	6,389,645.13
მიმდინარე აქტივები		7,189,037.38	6,193,095.96	4,499,922.44
ნაღდი ფული	18	60,644.45	148,226.84	74,133.55
სავაჭრო მოთხოვნები	7	99,698.50	98,441.14	16,729.97
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები და სხვა		302,648.33	300,282.60	460,588.40
მომდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	6,726,046.10	5,432,891.19	3,832,257.20
წინასწარ გაწეული ხარჯები		0.00	213,254.19	53,729.28
სავადასახადო აქტივი		0.00	0.00	62,484.04
გრძელვადიანი აქტივები		2,321,758.65	2,122,767.70	1,889,722.69
არამატერიალური აქტივები	10	456,141.40	110,141.40	100,141.40
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	10	-16,873.14	-9,527.00	-3,283.31
მიწა		0	0.00	0.00
ძირითადი საშუალებები	9	2,434,991.93	2,336,030.81	1,910,830.02
ძირითადი საშუალებების ცვეთა	9	-552,501.54	-313,877.51	-117,965.42
სულ კაპიტალი და ვალდებულება		9,510,796.03	8,315,863.66	6,389,645.09
კაპიტალი		6,006,551.34	5,519,358.49	5,260,280.46
სარეზერვო კაპიტალი		0	0	
საწესდებო კაპიტალი		6,478,958.00	6,841,074.15	6,949,296.58
აკუმულირებული მოგება-დაუფარავი ზარალი		-1,321,715.66	-1,689,016.12	-1,689,016.12
მიმდინარე მოგება-ზარალი		503,309.00	367,300.46	0.00
ფრანშიზას აქტივად აღიარება	10	346,000.00	0.00	0.00
ვალდებულებები		3,504,244.69	2,796,505.17	1,129,364.63
მიმდინარე ვალდებულებები		3,504,244.69	2,796,505.17	1,129,364.62
სავაჭრო ვალდებულებები	13	2,484,885.35	2,392,709.00	1,052,459.30
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	15	635,146.10	122,718.17	20,585.25
სავადასახადო ვალდებულებები		12,716.02	14,619.98	
დარიცხული ვალდებულებები				
მიღებული ავანსები		46,171.18	266,458.04	56,320.07
მოკლევადიანი სესხი		325,326.04		
გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0

შპს „ბრიკო კავკასუს“-ის დირექტორი
მამუკა ლოლიძე

შპს „ბრიკო კავკასუს“-ის ფინანსური დირექტორი
კახაბერ სონიშვილი

2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება

დასახელება (GE)		2018 წელი ლარი	2017 წელი ლარი
შემოსავალი რეალიზაციიდან	1	12,171,737	11,681,414
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	-7,220,447	-7,582,459
საერთო მოგება		4,951,290	4,098,955
სხვა შემოსავალი	2	195,083	166,465
საოპერაციო და ადმინისტრაციული დანახარჯები	5	-4,408,061	-3,675,708
ცვეთა და ამორტიზაცია	9	-247,055	-202,156
სესხის %	12	-12,050	0
სულ საოპერაციო ხარჯები და სხვა შემოსავლები		-4,472,083	-3,711,399
საოპერაციო მოგება		479,207	387,556
შემოსავალი/ზარალი საკურსო სხვაობიდან		24,102	-20,256
მოგება გადასახადამდე		503,309	367,300
მოგების გადასახადი 15%		0	0
წმინდა მოგება		503,309	367,300

2018 დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალის ცვლილება	გაუნაწილებელი მოგება	პერიოდის მ/ ზარალი	ფრანშიზას კაპიტალიზაცია	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2016	6,949,297		-1,689,016			5,260,280
წლის შემოსავალი		-108,224		367,300		
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	6,841,072		-1,321,716			5,519,356
წლის შემოსავალი		-362,114		503,309		
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	6,478,958		-818,407		346,000	6,006,551

შპს „ბრიკო კავკასუს“-ის დირექტორი
მამუკა დოლიძე

შპს „ბრიკო კავკასუს“-ის ფინანსური დირექტორი
კახაბერ სონიშვილი

12-26 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

2018 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2018 წელი	2017 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	503,308.65	374,224.58
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	259,105.47	202,155.78
- გადასახადები	-	-
- ცვეთა	247,055.47	202,155.78
სესხის პროცენტი	12,050.00	
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	(446,701.94)	(369,000.36)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	209,631.10	(477,206.91)
- მარაგები	(1,293,154.92)	(1,600,633.99)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	648,871.88	1,708,840.54
სესხის პროცენტი	(12,050.00)	
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	315,712.18	207,380.00
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(366,504.46)	(15,200.00)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(366,504.46)	(15,200.00)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
- სანესღებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	(362,116.15)	(108,224.00)
-სესხის აღება	986,648.23	
-სესხის ძირითადი თანხის შემცირება	(661,322.19)	
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(36,790.11)	(108,224.00)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	(87,582.39)	83,956.00
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი	148,226.84	74,133.55
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	24,102.00	(9,862.71)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	60,644.45	148,226.84

შპს „ბრიკო კავკასუს“-ის დირექტორი
მამუკა ლოლიძე

შპს „ბრიკო კავკასუს“-ის ფინანსური დირექტორი
კახაბერ სონიშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის

დასახელება (GE)		2018 წელი ლარი	2017 წელი ლარი	2016 წელი ლარი
სულა აქტივები		9,510,796.03	8,315,863.66	6,389,645.13
მიმდინარე აქტივები		7,189,037.38	6,193,095.96	4,499,922.44
ნაღდი ფული	18	60,644.45	148,226.84	74,133.55
საუაჭრო მოთხოვნები	7	99,698.50	98,441.14	16,729.97
მომზადებულზე გადახდილი ავანსები და სხვა		302,648.33	300,282.60	460,588.40
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	6,726,046.10	5,432,891.19	3,832,257.20
წინასწარ გაწეული ხარჯები		0.00	213,254.19	53,729.28
საგადასახადო აქტივი		0.00	0.00	62,484.04
გრძელვადიანი აქტივები		2,321,758.65	2,122,767.70	1,889,722.69
არამატერიალური აქტივები	10	456,141.40	110,141.40	100,141.40
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	10	-16,873.14	-9,527.00	-3,283.31
მიწა		0	0.00	0.00
ძირითადი საშუალებები	9	2,434,991.93	2,336,030.81	1,910,830.02
ძირითადი საშუალებების ცვეთა	9	-552,501.54	-313,877.51	-117,965.42
სულ კაპიტალი და ვალდებულება		9,510,796.03	8,315,863.66	6,389,645.09
კაპიტალი		6,006,551.34	5,519,358.49	5,260,280.46
სარეზერვო კაპიტალი		0	0	
საწესდებო კაპიტალი		6,478,958.00	6,841,074.15	6,949,296.58
აკუმულირებული მოგება-დაუფარავი ზარალი		-1,321,715.66	-1,689,016.12	-1,689,016.12
მიმდინარე მოგება-ზარალი		503,309.00	367,300.46	0.00
ფრანშიზას აქტივად აღიარება	10	346,000.00	0.00	0.00
ვალდებულებები		3,504,244.69	2,796,505.17	1,129,364.63
მიმდინარე ვალდებულებები		3,504,244.69	2,796,505.17	1,129,364.62
საუაჭრო ვალდებულებები	13	2,484,885.35	2,392,709.00	1,052,459.30
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	15	635,146.10	122,718.17	20,585.25
საგადასახადო ვალდებულებები		12,716.02	14,619.98	
დარიცხული ვალდებულებები				
მიღებული ავანსები		46,171.18	266,458.04	56,320.07
მოკლევადიანი სესხი		325,326.04		
გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0

შპს „ბრიკო კავკასუს“-ის დირექტორი
მამუკა დოლიძე

შპს „ბრიკო კავკასუს“-ის ფინანსური დირექტორი
კახაბერ სონიშვილი



12-26 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება

დასახელება (GE)		2018 წელი ლარი	2017 წელი ლარი
შემოსავალი რეალიზაციიდან	1	12,171,737	11,681,414
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	-7,220,447	-7,582,459
საერთო მოგება		4,951,290	4,098,955
სხვა შემოსავალი	2	195,083	166,465
საოპერაციო და ადმინისტრაციული დანახარჯები	5	-4,408,061	-3,675,708
ცვეთა და ამორტიზაცია	9	-247,055	-202,156
სესხის %	12	-12,050	0
სულ საოპერაციო ხარჯები და სხვა შემოსავლები		-4,472,083	-3,711,399
საოპერაციო მოგება		479,207	387,556
შემოსავალი/ზარალი საკურსო სხვაობიდან		24,102	-20,256
მოგება გადასახადამდე		503,309	367,300
მოგების გადასახადი 15%		0	0
წმინდა მოგება		503,309	367,300

2018 დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწყისდებო კაპიტალი	საწყისდებო კაპიტალის ცვლილება	გაუნაწილებელი მოგება	პერიოდის მ/ ზარალი	ფრანშიზას კაპიტალიზაცია	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2016	6,949,297		-1,689,016			5,260,280
წლის შემოსავალი		-108,224		367,300		
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	6,841,072		-1,321,716			5,519,356
წლის შემოსავალი		-362,114		503,309		
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	6,478,958		-818,407		346,000	6,006,551

შპს „ბრიკო კავკასუს“-ის დირექტორი

მამუკა დოლიძე

შპს „ბრიკო კავკასუს“-ის ფინანსური დირექტორი

კახაბერ სონიშვილი



12-26 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

2018 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2018 წელი	2017 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	503,308.65	374,224.58
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	259,105.47	202,155.78
- გადასახადები	-	-
- ცვეთა	247,055.47	202,155.78
სესხის პროცენტი	12,050.00	-
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	(446,701.94)	(369,000.36)
- საფაქრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	209,631.10	(477,206.91)
- მარაგები	(1,293,154.92)	(1,600,633.99)
- საფაქრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	648,871.88	1,708,840.54
სესხის პროცენტი	(12,050.00)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	315,712.18	207,380.00
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(366,504.46)	(15,200.00)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(366,504.46)	(15,200.00)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	(362,116.15)	(108,224.00)
-სესხის აღება	986,648.23	-
-სესხის ძირითადი თანხის შემცირება	(661,322.19)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(36,790.11)	(108,224.00)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	(87,582.39)	83,956.00
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი	148,226.84	74,133.55
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	24,102.00	(9,862.71)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	60,644.45	148,226.84

შპს „ბრიკო კავკასუს“-ის დირექტორი

მამუკა დოლოძე

შპს „ბრიკო კავკასუს“-ის ფინანსური დირექტორი
კახაბერ სონიშვილი

12-26 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბრიკო კავკასუს“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2014 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟლიჭვარი, მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტის მიმდებარედ

შპს „ბრიკო კავკასუს“ არის საამშენებლო მასალების მსხვილი საცალო მოვაჭრე, დაარსებული საქართველოში. იგი გაყიდვებს ახორციელებს ერთი სუპერმარკეტის ტიპის მაღაზიის მეშვეობით. კომპანია თავის მომხმარებლებს სთავაზობს პროდუქტების ოპტიმალურ კომბინაციას, დამხმარე მოწყობილობებსა და სერვისებს.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის ბოლოსთვის მხარეებს შორის განსაზღვრული აქციები მოცემულია ცხრილში:

	2018	2017
თეიმურაზ დოლიძე	51 %	51 %
თეონა დოლიძე	19 %	19 %
მამუკა დოლიძე	30 %	30 %

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ” (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად. უნდა ჩაითვალოს რომ ზემოდ ხსენებულ სტანდარტზე კომპანია გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია თავის ოქმების კრებულებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ქართულ ლარში და ასევე ქართულ ლარში

აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მის ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებებია გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტების შენიშვნებში.

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კონვერტაციის ხარჯი“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი: საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

				აშშ დოლარი	ევრო
კურსი	2018	წლის	31	2.6766	3.0701
დეკემბრისთვის					
კურსი	2017	წლის	31	2.5922	3.1044
დეკემბრისთვის					

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. სხვა მწარმოებლებზე ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და დღგ-ს გადასახადების გამოკლებით.

მიღებული კრედიტ ნოტების აღიარება ხდება ხელშეკრულებაში ან შეთანხმებაში დათქმული პირობიდან გამომდინარე, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, კერძოდ როდესაც მომწოდებელთან შედარებისას ფიქსირდება დავალიანების ნაკლებობა და დავალიანების შემცირების მიზეზი მომწოდებელს არ აქვს ახსნილი, ან როდესაც კრედიტ-ნოტი მიღებულია ბონუსის სახით კრედიტ ნოტიდან შემოსავალი ემატება საოპერაციო შემოსავალს.

მომწოდებლის მხრიდან ინვოისში არსებულ ჩამონათვალთან შედარებისას აღმოჩენილი საქონლის დანაკლისის შემთხვევაში მომწოდებელი იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს დანაკლისის ღირებულება. ეს არსებითად ხარჯების ანაზღაურების კრედიტ-ნოტას გავს და ამ დროს შემთხვევაში ხდება ზემოთ თქმული კრედიტ-ნოტის შემოსავალში აღიარება.

ბონუსების სისტემა

კომპანიას გაყიდვების წახალისების მოზნით შემუშავებული აქვს ბონუსური სისტემა. ბონუსის თანხა განიხილება როგორც გასაყიდ საქონელზე გაცემული ფასდაკლება. ბონუსის განაღდება ხდება მყიდველის სურვილის მიხედვით არჩეულ გასაყიდ საქონელზე და რეალიზაციის აღიარება ხდება მხოლოდ საქონელზე კუთვნილების შეცვლის შემდეგ. დაგროვილ ბონუსზე შექმნილა ანარიცხი. რომელიც მცირდება მყიდველის მხრიდან საქონლის მიღების შემდეგ (ბონუს ქულების განაღდების შემთხვევაში). ბონუსი განიხილება როგორც ფასდაკლება მყიდველის მიერ ნაყიდ საქონელზე, რომელის მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარდება როდესაც ხდება მყიდველზე ბონუსის ღირებულების საქონლის გადაცემა, ბონუს ქულების განაღდება ხდება საქონლის რეალიზაციის ფასით. კომპანიას განზრახული აქვს რომ 2018 წლის 01 იანვრიდან ბონუს ქულების განაღდებაზე დააწესოს ვადა კალენდარული წლის ბოლომდე. ბონუსის მიმღების მხრიდან ბონუსის არ გამოყენების შემთხვევაში არგამოყენებული ბონუსი ვალდებულების ჩამოწერის გზით აღიარდება შემოსავალში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. კომპანია 2016 წელს იყო ზარალიანი, ამიტომ მოგების გადასახდის ვალდებულება არ წამოშობილა. 2017 წელს მოგების გადასახდელ დარიცხულია მხოლოდ საგადახადო კოდექსის მიერ განსაზღვრული გადასახდი, რომელიც გამოწვეულია ზოგიერთი ფინანსური ხარჯის საგადასახდოს მიერ არ აღიარებით. რაც შეეხება გადავადებულ გადასახადს, მის სტანდარტებზე გადასვლის თარიღიდან, 2017 წლის 1 იანვარისთვის უკვე მოქმედებდა ესტონური მოდელი რომლის შინაარსიდან გამომდინარე დროებითი სხვაობა აღარ წარმოიშობა

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები, საოფისე და სამალაზიე მოწყობილობა 6,67–10 პროცენტი,
ხოლო იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა 10 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით განაკვეთით 6.67%. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს

საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. შპს “ბრიკო კავკასიუმშია” არ ფიქსირდება ფინანსური იჯარა

კომპანიაში ფიქსირდება ჩვეულებრივი იჯარა. იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფრანჩაიზი

კომპანიას გაფორმებული აქვს ფრანგული კომპანია ბრიკორამასთან 5 წლიანი ვადით ფრანშიზას ხელშეკრულება. რომლის თანხმაც მკაცრად არის განერილი ფრანშიზას ვადის ვადები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საქონლის მიღება ხდება საინვოისო ღირებულებით რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და დასაწყობების ხარჯები. პერიოდის ბოლოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების კორექტირება აისახება კორექტირების თარიღით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება პროდუქციის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურების ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის

კომპანიის მიერ ზოგიერთ გაყიდულ საქონელს ახლავს მწარმოებლის გარანტია, რომ მას საგარანტიო ვადის განმავლობაში არ აღმოაჩნდება საწარმოო წუნი. რადგან გარანტია გაცემულია მწარმოებლის და არა შპს „ბრიკო კავკასიის მიერ“ საგარანტიო მომსახურება ხორციელდება მწარმოებელი კომპანიის მიერ ავტორიზებულ სერვის ცენტრებში და შესაბამისად კომპანიის მიერ ასეთი ტიპის მომსახურების ხარჯად აღიარება არ ხდება. რაც შეეხება უშუალოდ კომპანიის მიერ გაცემულ გარანტიას კომპანია ასეთ სერვისს მომხმარებელს არ სთავაზობს. კომპანია გაყიდვიდან 3 დღის ვადაში მყიდველს უცვლის პროდუქციას წუნის აღმოჩენის შემთხვევაში. აღსანიშნავია რომ მომწოდებელი უნაზღაურებს კომპანიას წუნდებული საქონლის ღირებულებას და მის შეძენაზე დახარჯულ ზედნაღებ ხარჯებს.

1. ამონაგები

ამონაგები მოიცავს შემოსავლებს რეალიზაციიდან, როგორც საცალო ასევე მცირე საბითუმო მყიდველელებისთვის.

	2018	2017
	ლარი	ლარი
საქონლის გაყიდვა	12,171,737	11,681,414

2. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს 2017 და 2018 წლებში მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს, საქონლის იმპორტის დროს გამყიდველის მხრიდან საქონლის დანაკლისის ან დაზიანების ანაზღაურებას და შემოსულობას ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან.

	2018 წელი	2017 წელი
სხვა შემოსავლები	195,083	166,465

3. ფინანსური დანახარჯები

	2018 ლარი	2017 ლარი
სესხის პროცენტი	12050	0

4. დაბეგვრამდე მოგება

დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას ჩართულია შემდეგი ხარჯები:

	2018 წელი ლარი	2017 წელი ლარი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-7,220,447	-7,582,459
საოპერაციო ადმინისტრაციული ხარჯები	-4,406,386	-3,596,282
სხვა ხარჯები	-1,675	-79,427
ცვეთა და ამორტიზაცია	-247,055	-202,156
სესხის პროცენტი	-12,050	0
მოგება ზარალი საკუთსო სხვაობიდან	24,102	-20,256

5. თავის მხრივ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	2018 ლარი	2017 ლარი
მოგების გადასახადი	-1459.45	-352.94
დასაქმების სააგენტოს მომსახურება	0	-1048.34
არასაოპერაციო ხარჯი	-10538.94	-3205.33
სამეურნეო ხარჯი	-3431.45	-173.12
დაცვის ხარჯი	-1998.37	0
ფრანშიზის საფასური	-346507.1	0
ელ. ენერგიის ხარჯი	-24826.41	0
თანამშრომელთა გადამზადების ხარჯი	-23633.36	-20879.54
რეკლამის ხარჯი ვიდეორგოლები	-66929.96	0
მივლინების ხარჯი	-100817.1	0
საიტარო ქირა ტრანსპორტის	-508.47	-1525.41
იმპორტის ნებართვის ხარჯი	-200	0
ჯარიმა და საურავები	-50	0
საკანცელარიო ხარჯი	-8257.39	-9140.81
მარკეტინგის ხარჯი	-18651.74	0
საწვავის ხარჯი	-8345.64	-5651.11
რეკლამის ხარჯი - ბანერები/ტრანსპორტზე	-203696.3	-228150.18
ავტომანქანის ხარჯები	-2102.08	-4872.33
მივლინების ხარჯი დღიური	-24300.36	0
საიტარო ქირა ოფისის	-592624	-617063.68
ბუღ.პროგრამის მომსახურების ხარჯი	-6000	-6000
პარკების ხარჯი	-3833.91	0
დაზღვევა	-21245.59	0
ქონების გადასახადი	-19561.94	-19075.81
ლიფტის მომსახურების ხარჯი	-10169.52	-10169.52
სხვა ხარჯი	-1675.28	-79426.6
იურიდიული მომსახურების ხარჯები	-8900	-1500
ფინანსური კონსულტაციის ხარჯი	-11016.95	0
ბუნებრივი აირის ხარჯი	-42720.9	-47747.68
დიაგნოსტიკა-შეკეთების ხარჯი	-2343.18	-105.91
რეკლამის ხარჯი ინტერნეტ სივრცეში	-51565.42	-34586.92
საქველმოქმედო ხარჯი	-2770	-770
რეკლამის ხარჯი - ტელევიზიაში	-376254	-320248.5
ბანკის საკომისიო EUR	-11056.5	-11672.53
საფოსტო მომსახურების ხარჯი	-493.44	-22.32
მომსახურება ფიზიკური პირების	-7700	-20613.36
საყოფაცხოვრებო ხარჯი	-10890.18	-1130.43
სპეცტანსაცმლის ხარჯი	-11416.1	0
კორპორატიული ტელეფონის ხარჯი	-27483.85	0
ვიზის მოსაკრებელი	-220	-360
ხელფასი ადმინისტრაცია	-705470.3	-1475467.17
ბანკის საკომისიო GEL	-307.06	-77211.16
ხელფასი დარბაზი	-1048589	0
სატრანზიტო ანგარიში	-63.39	-220.83
საღარიბო აპარატის მომსახურების ღირებულება		-228.78
ბანკის საკომისიო USD	-2253.7	-1407.93
წარმომადგენლობითი ხარჯი	-2735.28	-28300.73
დასუფთავების ხარჯი	-8361.32	0
ბანკის საკომისიო თიბისი ბანკის ტერმინალი GEL	-43226.99	0
ინტერნეტის ხარჯი	-5243.63	-28236.51
მომსახურების ხარჯი	-360573.9	-354253.99
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	0	-848.3

6. მოგების გადასახდის ხარჯი

	2018 წელი	2017 წელი
	ლარი	ლარი
მიმდინარე გადასახადი	0	0
გადავადებული გადასახადი	0	0

2018 წელს და 2017 წლებში, წინა წლების ზარალის გამო და საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე(მოქმედებს 2017 წლიდან) მოგების გადასახადი უნდა იქნას გადახდილი დივიდენდი გაცემის დროს და საგადასახადო კოდექსის თვალსაზრისით დაუდოკუმენტირებელი ან ნორმის ზევით გაწეული ხარჯის შემთხვევაში.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018	2017
	ლარი	ლარი
მოთხოვნები იურდიულ პირებზე საქონლის მიწოდებიდან	94,190.64	87,496.10
განვადება-მოთხოვნები ფიზიკურ პირებზე საქონლის მიწოდებიდან		
მოთხოვნები იურიდიულ პირებზე მომსახურების განწევიდან (ადგილობრივი)	4,014.11	2,391.16
მოთხოვნები იურიდიულ პირებზე მომსახურების განწევიდან		1,556.40
მოთხოვნები ფიზიკურ პირებზე რეალიზაციიდან	1,493.75	6,997.48

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2018	2017
	ლარი	ლარი
გასაყიდი საქონელი	6,726,046.11	5,432,320.25
საწვავი	905.39	570.94

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები დაყოფილია კატეგორიებად. რომლების გაერთიანებულია ჯგუფებში 1 ჯგუფში შედის მსუბუქი ავტომობილების კატეგორია, მე-2 ჯგუფში შედის ავეჯი ოფისისათვის, ელექტრონული მოწყობილობა, კომპიუტერი, მალაზიის აღჭურვილობა,

სარეკლამო მოწყობილობა და სტენდი., ხოლო მესამე ჯგუფში შედის იჯარით აღებული კი ქონების კეთილმოწყობა.

შინაარსი	ავტომობილები და მანქანა დანადგარები ლარი	ოფისის ალჭურვილობა ლარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა ლარი	სულ ლარი
საბალანსო ღირებულება დასაწყისში 2017 წ	342,599.36	1,568,230.66		1,910,830.02
საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოსთვის 2017 წ	506,579.66	1,818,333.88	11117	2,336,030.54
შემოსვლა 2017წ.	163,980.30	250,103.22	11117	425,200.52
გასვლა 2017 წ.	0	0	0	0.00
ცვეთა პერიოდის 2017 წ.	35,935.15	159,110.01	866.93	195,912.09
დაგროვილი ცვეთა 2017 წლის დასაწყისში	4,401.43	113,563.99	0	117,965.42
დაგროვილი ცვეთა 2017 წლის ბოლოს	40,336.58	272,674.00	867	313,877.58
საბალანსო ღირებულება დასაწყისში 2018 წ	506,579.66	1,818,333.88	11,117.27	2,336,030.81
საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოსთვის 2018 წ	506,579.66	1,915,922.12		2,422,501.78
შემოსვლა 2018წ.		97,588.24	11117	108,705.24
გასვლა 2018 წ.	0	0	0	0.00
ცვეთა პერიოდის 2018 წ.	50,607.37	187,513.74	1,588.22	239,709.33
დაგროვილი ცვეთა 2018 წლის დასაწყისში	40,336.58	272,674.00	867.00	313,877.58
დაგროვილი ცვეთა 2018 წლის ბოლოს	90,943.95	459,102.44	2,455.15	552,501.54

10. არამატერიალური აქტივები

პროგრამული უზრუნველყოფა: არამატერიალური აქტივი შედგენს სალრიცხოვო

პროგრამა APEX-ს. სალრიცხოვო პროგრამის დანერგვა და სესაბამისად კაპიტალიზაციის დასრულდა 2017 წელს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით 6.67%-იანი განიკვეთით.

ღირებულება	ლარი
1 იანვარი 2017წ.	100141
შემოსვლა აღიარება	10000
გასვლა	()
ნაშთი 2017წ	110,141
2017 წლის ამორტიზაცია	6,244
დაგროვილი ამორტიზაცია 31 დეკემბერი 2017 წ.	9,527
ნარჩენი ღირებულება 31.12.2017	100,614
1 იანვარი 2018	110,141
2018 წლის ამორტიზაცია	7,346
დაგროვილი ამორტიზაცია 31 დეკემბერი 2018 წ.	16,873
ნარჩენი ღირებულება 31.12.2018	93,268

2108 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებული იქნა არამატერიალურ აქტივად კომპანია ბრიკორამას მხრიდან მიღებული ფრანშიზა. დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ იგი შეფასებული იქნა 346 000 ლარად

11. გადავადებული გადასახადი

კომპანიას გადავადებული გადასახდის ვალდებულება არ ერიცხება

12. სესხი და საბანკო გარანტია

კომპანიას გააჩნია თიბისი ბანკის სასესხო ვალდებულება ევროში და აშშ დოლარში. ორივე სესხი წარმოადგენს მოკლევადიან(ერთ წლამდე) სესხს. სასესხო ხელშეკრულებების დასრულების თარიღია 2019 წლის 23 მარტი. ევროში სესხის ოდენობა განისაზღვრება 100 000 (ასი ათასი) ევროთი, ხოლო განიკვეთი შეადგენს წლიურ 8.5 %-ს დამატებული გაცემის მომენტში დაფიქსირებულიყუბორის 6 თვიანი განაკვეთი, დამრგვალებული მესამედის სიზუსტით.

აშ.შ დოლოარში სესხის ოდენობა განისაზღვრება 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარით, ხოლო განიკვეთი შეადგენს წლიურ 6.32 %-ს დამატებული გაცემის მომენტში დაფიქსირებული ყუბორის 6 თვიანი განაკვეთი, დამრგვალებული მესამედის სიზუსტით.

პერიოდის ბოლოსათვის ორივე სესხიდან საბანკო ვალდებულება შეადგენდა 325,326.04 ლარს

13. სავაჭრო ვალდებულებები

	2018 წელი ლარი	2017წელი ლარი
ადგილობრივი საქონლის შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულება	2,343,293	1,818,250
იმპორტირებული საქონლის შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	122,834	22,881
ვალდებულებები ძირითადი საშუალების შეძენიდან	18,758	70,180
სატრანსპორტო მომსახურეობის მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულება	153,855	69,449
მომსახურეობიდან წარმოქმნილი ვალდებულება	73,847	252,682
არარეზიდენტი პირების მომსახურება	207,032	159,266
	3,110.20	0

14. საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები

საგარანტო ანანრიცხი არ შექმნილა, რადგან საქონელი იყიდება მწარმოებელი გარანტიით

15. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება

კომპანიის დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ვალდებულება, რომელიც ეფუძნება მომსახურე პერსონალთან დადებულ ხელშეკრულებას შეადგენს:

2018 წლის 31 დეკემბრისთვის 0 ლარს (დაერიცხა 1988785.58 ლარი, გადახილ იქნა 1988785.58 ლარი) 2017 წლის 31 დეკემბრისთვის 0 ლარს (დაერიცხა 1392421.99 ლარი, გადახილ იქნა 1392421.99 ლარი). ქვემოთ გთავაზობთ ხელფასების გადანაწილების ცხრილს

	2018 წელი ლარი	2017წელი ლარი
გადასახდელი ხელფასები ადმინისტრაცია	710892.99	346067.87
გადასახდელი ხელფასი მაღაზია	1061472.33	897839.12
გადასახდელი ხელფასი დაცვა	216420.26	148515

16. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს სამაღაზიო და სასაწყობე ფართი. იჯარის ხელშეკრულება საშუალო ვადაა ხუთი წელი(კომპანია ბრიკორამას ფრანშიზას პერიოდი) თვეში ერთხელ ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა. ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად შეადგენს 2018-ში 605 565 ლარს და 2017-ში 637 771 ლარს

17. კაპიტალი

ქვემოთ გთავაზობთ კაპიტალში ცვლილების დეტალიზაციას

	საწესდებო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალის ცვლილება	გაუნაწილებელი მოგება	პერიოდის მ/ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2016	6,949,297		-1,689,016		5,260,280
წლის შემოსავალი		-108,224		367,300	
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	6,841,072		-1,321,716		5,519,356
წლის შემოსავალი		-362,114		503,309	
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	6,478,958		-818,407		5,660,551

18. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2018 წელი	2017 წელი
	ლარი	ლარი
ფულადი სახსრები საღაროში	5,035	69,105
ფული საბანკო ანგარიშებზე	55,610	79,122
სულ	60,644	148,227

19. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები კომპანიას არ უფიქსირდება

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა

21. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეს შორის ოპერაციები არ ფიქსირდება, თუმცა ფიქსირდება ოპერაციები ისეთ კომპანიებთან რომელშიც შპს „ბრიკო კავკასუსის“ მენილერები მნიშვნელოვან წილს ფლობენ.

ურთიერთობა ხორციელდება საბაზრი ფასებით.

22. ფინანსური რისკები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან. ესენიას სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები. კომპანიის რისკის მართვა მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას. სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება. თუ გავითვალისწინებთ იმას რომ კომპანიის მომწოდებლებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობა არის უცხოელი მომწოდებელი, მაგრამ საქონლის შენა ხდება წინასწარი გადახდის პირობით რაც ნიშნავს რომ კომპანია არ ექვემდებარება კრედიტორული დავალიანების გადაფასებით გამოწვეული ფინანსური რისკებს. თუმცა აუცილებელია სარეალიზაციო პროდუქციის ფასების სწორად დადგენა, რათა არ მოხდეს საბრუნავი თანხების განუზომელი ზრდა შესასყიდი პროდუქციის ლარაებში ღირებულების გაზრდის გამო

23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2019 წლის 25 ივლისს.

შპს „ბრიკო კავკასუს“-ის დირექტორი
მამუკა დოლიძე

შპს „ბრიკო კავკასუს“-ის ფინანსური დირექტორი
კახაბერ სონიშვილი

22. ფინანსური რისკები


კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან. ესენიას სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები. კომპანიის რისკის მართვა მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას. სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება. თუ გავითვალისწინებთ იმას რომ კომპანიის მომწოდებლებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობა არის უცხოელი მომწოდებელი, მაგრამ საქონლის შენა ხდება წინასწარი გადახდის პირობით რაც ნიშნავს რომ კომპანია არ ექვემდებარება კრედიტორული დავალიანების გადაფასებით გამოწვეული ფინანსური რისკებს. თუმცა აუცილებელია სარეალიზაციო პროდუქციის ფასების სწორად დადგენა, რათა არ მოხდეს საბრუნავი თანხების განუზომელი ზრდა შესასყიდი პროდუქციის ლარაებში ღირებულების გაზრდის გამო

23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2019 წლის 25 ივლისს.

შპს „ბრიკო კავკასუს“-ის დირექტორი

მამუკა დოლიძე



შპს „ბრიკო კავკასუს“-ის ფინანსური დირექტორი

კახაბერ სონიშვილი

